

# სი ანძი



ოპორტუნისტი კურის დამზადებაზე

— რად უმეცურსო თავი! „უმეცადეთ უკინეთ, ლთა ცინა, რამეთუ ისინი აკცა სთესენ, აკცა მკინან“ მაგრა მუშენივრალ ცსოვკოვან.



შურს. „ნიანგი“-ს კალაქცია ღრმა მუშნარებით აუწყებს თანამშრომლებსა და მკითხველებს, რომ გარდაიცვალა ძველი გოლშვიძი - (მე-ნიწელი, თავგანწირული მებრძოლი ბაზ. „მუშა“-ს ბას-მგ. კალაქტორი და შურ. „ნიანგი“-ს სარდაქცირ კოლშვიდის წმგრი

# ამხ. მელიტონ ფილია



ამხ. მ. ფილია დაიბადა ს. ნიგოთში 1888 წელს, უღარიბეს გლეხის ოჯახში. სწავლა - განათლება მიიღო ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში.

1903-4 წლებიდან იწყებს ამხ. მელიტონი რევოლიუციონურ მუშაობას, უახლოვდება სოციალ - დემოკრატიულ წრეებს. 1905 წ. ბოლშევიკურ ფრაქციის დავალებით მიემგზავრება ჭიათურაში სამუშაოდ.

ჭიათურაში ამხ. მელიტონი იყო იქ არსებულ ბოლშევიკური ბრობაგანდის კოლეგიის წევრი და ხელმძღვანელობდა პერვეისის რაიონს.

1905 წელში ამხ. მელიტონი აქტიურ მონაწილეობას იღებდა წითელი რაზმების შედგენაში, მისი უახლოესი მონაწილეობით შესტაფონსა და ბელაგორში განიარაღებულ იქნა ტენგინის ბოლკის ნაწილები.

რეაქციის გამეფების შემდეგ ჭიათურის ორგანიზაცია გადადის ჭერ ქვეშ მუშაობაზე, ამხ. მელიტონი კი მოემგზავრება ტფილისში, სადაც ამ დროს გაჩაღებული იყო პარტიზანობა.

1906-7 წ. ამხ. ფილია ბრუნდება ჭიათურაში, ჭიათურიდან ისევ ტფილისში და ხელმძღვანელობდა მუშათა წრეებს.

1908 წ. ჩავარდა ვერის ორგანიზაცია. მათ შორის ამხ. მელიტონიც. გასამართლე-

ბის დროს ამხ. ფილიამ შესძლო გაპარულიყო და რამოდენიმე ხნის შემდეგ გაემგზავრა საზღვარ-გარეთ.

ცხოვრობდა შვეიცარიაში. უნევეში დაამთავრა უმაღლესი სასწავლებლის ქიმიური დარგი. აქ მან გაიცნო და დაუახლოვდა ლენინს. და განაგრძობდა რევოლიუციონურ მუშაობას.

1926 წელში ამხ. მელიტონი დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და მუშაობდა კომინტერნის ერთ-ერთ სექციაში.

1927 წელში ჩამოდის საქართველოში სამუშაოდ.

ამხ მელიტონი იყო საქ. ცაკის წევრი, საქ კომპარტიის ც. საქ. კომ. და ძველი ბოლშევიკთა საზოგადოების წევრი.

1929 წლიდან ამხ. ფილია იყო გავით „მუშა“-ს ბასუხისმგებელი რედაქტორი და შურნალ „ნიანგი“-ს სარედაქციო კოლეგიის წევრი.

მიმდინარე წლის გაუფხულებიდან ავთმყოფობამ მელიტონი ლოგინს მიაკრა, ხოლო 4 აგვისტოს იგი გარდაიცვალა ქობულაოში.

7 აგვისტოს ტფილისის პროლეტარიატმა ვერის ახალ სასაფლაოზე მიწას მიაბარა ამხ. მელიტონ ფილიას გვამი.



# „პური ჩვენი არსობის“...



გიორგი ურჯულაშვილს მეტ სახე-  
ლად ანტიქრისტეს უწოდებდნენ.

სოფლის დედაკაცები გზაში რომ  
შეეფეთებოდნენ, ჯერ შეაფურთხებ-  
დნენ, შემდეგ „შეუტურთხებდნენ“ და  
ღმერთს მის წინააღმდეგ დახმარებას  
შესთხოვდნენ: — „უფალო გემიჯნე  
მაგ ავსულისაგანო“.

ურჯულაშვილი გლეხის პირობაზე  
ნაკითხი და შეგნებული კაცი იყო...  
ღმერთის მიმართ სიძულვილი მას,  
როგორც თვითონ ამბობდა, „დედის  
მუცლიდან“ გამოჰყვა.

— მეზობლებო, ყოველ დღე რომ  
საყდარში დაწოწილობით და ღმერთს  
ვღრიჯვებით „მამო ჩვენო, რომელიც  
ხარ ცათა შინა... პური ჩვენი არსე-  
ბობისა მოგვეცე ჩვენ დღესო, გაიგეთ,  
რომ ღმერთი არასდროს არ ყოფილა  
და არც არის. უმჯობესია, ძმებო,  
ვიმუშაოთ და პური „თავზე საყარი“  
გვექნება! უქადაგებდა ურჯულაშვი-  
ლი მორწმუნე გლეხებს.

გიორგი ერთ-ერთი ინიციატორი  
იყო კოლექტივის დაარსებისა, რომ-  
ლის წინააღმდეგ დაიოზმენ მღვდე-  
ლი ათანასე, დიაკონი გაბრიელ, აზ-  
ნაური ფუქსავატაშვილი და სოფლის  
კულაკები.

ურჯულაშვილმა თავისი გაიტანა,  
— ღარიბი გლეხები თავის მხარეზე  
„გადაიბირა“ და კოლექტივიც დაარ-  
სდა, რომელშიც გლეხებმა პირველ

ყოველისა სათესი მიწები გააერთიან-  
ნეს.

სოფლის ეკლესია ნადვლიანათ გა-  
მოიყურებოდა.

სახურავი დაროეოდა, კედელი ჩა-  
მონგრეოდა, ეზოში კი თხებსა და  
ღორებს „დღეობა“ გაემართათ.

— „მამო ჩვენო, რომელიცა ხარ  
ცათა შინა, მოგვეცი პური ჩვენი არ-  
სობისა“, — კატასავით კნაოდა მღვდე-  
ლი ათანასე.

— ამიიინ! — ღრიალებდა დიაკონ-  
ნი გაბრიელ და ცივი მჭადის ნატებს  
ლუქმავდა...

როცა წირვა დასრულდებოდა ხში-  
რად საყვედურით მიმართავდა გაბ-  
რიელ ათანასეს:

— მამო ათანასე, თუ ჩვენს ამო-  
დენა ვედრებას ღმერთი არ შეისმენს  
და პურს ზეციდან არ გამოგვიგზავ-  
ნის, როგორ უნდა გადავიხადო შენ-  
გან ნასესხი პური?

— რას ამბობ დიაკონო, — შეუ-  
ბღვერდა ათანასე დიაკონს, — ღმე-  
რთმა თავისი საქმე უკეთ იცის, დაი-  
ოკოს მისი სახელი, — შენც უნდა  
იკადე შენი ს. შე, — „ნ თუ ნა-  
სესხს არ გადამიხიდი და პირს გაი-  
ტებ, მეც შევტყვევებ და აზნაურ  
ფუქსავატაშვილს ნასესხს ვერ გადა-  
უხვდი.

ამ ნიადაგზე ათანასესა და გაბ-

რიელ შორის ისე გამწვავდა მღვდ-  
მარეობა, რომ ერთხელ გაბრიელ  
სწვდა ათანასეს წვერებში და რომ  
ფუქსავატაშვილი ა დახმარებოდა  
მამოს, შეიძლება მისი მოგონება და-  
რჩენილიყო ქვეყანასა ზედა.

წრეულს კოლექტივის ნათესში  
მოსავალი „მოყვარეს ახარებდა და  
მტერს გულს უკლავდა“.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის  
„ბნელი ძაღვები“ ცდილობდნენ მოსა-  
ვლის აკრეფაში კოლექტივისათვის  
ხელის შეშლას, მაინც პურის დამზა-  
დება გამარჯვებით დასრულდა. დან-  
გრეულ ეკლესიის გალავანში, სადაც  
სოფლის სკოლა შენდებოდა კოლექ-  
ტივის წვერთა საერთო კრება იყო  
გამართული.

— ამხანაგებო, — ჩვენ მხოლოდ  
შრომით და საერთო ძალიანით შე-  
ვძელით წრეულს პურის ასეთი მო-  
სავლის მოწვევა, — ჩვენ ღმერთი არ  
გვწამს და მისთვის „პური ჩვენი არ-  
სობისა“ აღ ვეფთხოვია; ჩვენ არც  
ღმერთი გვიწადა და არც მისი მოცე-  
მული პური...

გაუმარჯოს ამხანაგებო, ჩვენს კო-  
ლექტივს! დაასრულა ურჯულაშვი-  
ლმა თავისი სიტყვა, რომელიც დაი-  
ფარა ტაშის გრიალით.


სოფლის მანვე ელემენტები კრე-  
ბაზე არ სჩანდნენ.

ყუხუბარა.

3

## ო კ რ ტ უ ნ ი ს ტ ი კ ა ლ ო ზ ე

ნახ. ქოქიაშვილის



ოკოკრტუნისტი: — რა საჭიროა საღებავი მანქანების შექმნა! ახე სჯობია — სეირნობ და თანაც ლეწავი





თუმცა წინანდალში დილით ისე აძრე ავდრით, რომ მზეც არ იყო ამოსული, მაგრამ გამგზავრება მხოლოდ მაშინ ძოვანხერხეთ, როდესაც ის ცაზე კარგა მალა ამოიწინა.

გამგზავრების შემდეგაც ზოგს ჩვენგანს უკან ოჩებოდა თვალები.

შევიარეთ თელავში. მაგრამ აქ კაცი ვერაფერ ახალზე ვერ შეაჩერებს თვალს. აღმასკომსაც ვერ გამოუტყვლია მისი ძველი ბინა, თუმცა თავმჯდომარეები კი რამდენიმე გამოიცვალა.

რკინის გზის სადგურის ახლოს ერთმა დიდმა ახალმა შენობამ მიიპყრა ჩვენი ყურადღობა. ყველას სახე გაგვიბრწყინდა, როდესაც გვითხრეს, რომ ეს ახლად აგებული მარანი არისო. შოფერს თქმაც არ დასჭირებია, ისე მოატრიალა საჭე მარანიშეშსარებათ. მაგრამ როდესაც გავივით, რომ მარანი ჯერ დამთავრებული არ არის, შიგ ღვინის წვეთი არ მოიპოვება და არც არავინ იცის, თუ როდის იქნება, —სახე ყველას მოგვეხუშა და შოფერმაც ისე მოატრიალა საჭე უკან წამოსასვლელად, რომ აქაც არ დასჭირებია ჩვენი თქმა.

გაქანებული ტემპით გავსწიეთ ალაზან ვაღმა მხარეს. სხვების რამოგახსენოთ, მაგრამ მე კი ცოტა აჩქარებით მიცემდა გული, რადგან გავონილი მქონდა ტყეში მიმავალ შარავზის საშიშროებაზე ყაჩაღების მხრივ, იმდენათ არფერი გეტყინოთ, რამდენათაც აქ არაფერი სასიშროება აღარ იყოს!

ჩამოსულან იმერლები, გაუკაფავთ ტყე და დაუთესიათ სიმინდი და ლომი. აბა სადღა შეაფარებს თავს ყაჩაღი?

სხვათა შორის: იცით თუ არა თქვენ, რომ სიმინდი და ლომი ჩვენი მამა-პაპური საკვები არ ყოფილან, თურმე? ისინი მხოლოდ ამერიკის აღმოჩენის შემდეგ შემოუტანიათ დასავლეთ ევროპაში. იქედან ნელ-ნელა უჩოჩნიათ ჩვენკენ და საუკუნე ნახევრის წინეთ მოუხწყვიათ დასავლეთ საქართველოში. შემდეგ გადმოუღახავთ ლიხის მთა და უკანასკნელ წლებში კი გომბორის მთაც და ამოუყვიათ თავი მტკვარ-იორ-ალაზნის ველებზე.

ხანგრძლივი ყოფილა მათი მოგზაურობა ჩვენკენ, მაგრამ, ფეიქრობთ, რომ უფრო სწრაფი იქნება მათი გამგზავრება ჩვენგან: დაუბრუნოთ ისინი უკანვე ევროპას და ამერიკას. ჩვენ კი უფრო მალალი სოფლის მეურნეობის კულტურა გავავითაროთ!

ალაზნის ხიდზე როცა გავედით, „ბენცმა“ ბენცელი იწყო: არ იცოდა მარცხნით, —ნაფარეულისკვდ, — თუ მარჯვნივ, — ყვარელისკენ აელო გეზი. ორივე მხარეს დიდი მიმზიდველობა აქვს, მაგრამ რადგან ყვარელისკენ გზა უკეთესი აღმოჩნდა, ჩვენც იქით გავემართეთ.

ადგილობრივმა ხელომძღვანელმა დაიტრახა კიდევაც გზის სიკარგით, მაგრამ ნიანგმა ენა პირში ჩააბნია:

— „შენ, ჩემო ძამია, ალბათ ვერაფერს აწვდი აქედან კახეთის რკინის გზას და ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების მუშებს—აბა რამ უნდა გავიფუქოს გზა?“

ხელომძღვანელმა მოინდომა თავის მართლება ფიქლის გაზიდვით, მაგრამ ამაოდ!

რადღა ფიქალზე ჩამოვარდა სიტყვა, ჩვენ მოვისურვეთ მისი სამუშაოების დათვალიერება და შეუხვებით სოფელ საბუეში.

სწორედ რომ ყოვლათ შეუთირალი და დაუშნებელია ამ სოფლისათვის ეს სახელი. საუცხოვო ლამაზ ხეობაში, მოჩუხჩუხე ანკარა წყაროებით, ბაღებ-ჩენახებით, კაკლის და თხილის ხეებში გაშლილი სოფელი და ასეთი სახელი? საბულებულე, სამერცხლე, სავკრიტე და სხვა ასეთი სახელწოდება უფრო შეფერის მას!

სოფლის სილამაზეს მიუზიდავს ფიქლის დამუშავების ხელომძღვანელები და აქ გაუმართავეთ კანტორა.

თვით ფიქალის ბუდობები კი დაშორებული არიან კანტორისგან — ამავე ხეობაში ექვსი და მეორე ხეობაში თორმეტი კილომეტრი მანძილით.

ორ სკამ შუა ჯდომა რომ არ ვარგა, —ეს ცნობილია, მაგრამ ორ გზას შუა ჯდომა, —და ისიც ისეთ გზების, რომელზედაც გავლა ძნელია, — ეს ახალი გამოგონება არის, ფიქალის აღმოჩენასთან დაკავშირებული!

ეს ფიქალი ხომ ინჟენერი ჯორჯადის აღმოჩენილია, —იმ ჯორჯადის, რომელიც ამერიკაში იყო გაგზავნილი გზების მოკირწყვლის საქმის შესასწავლად. იქედან დაბრუნებულმა დაგვიბარდა, რომ მისი მოკირწყვლული გზა მთელ საუკუნეს გაძლებდა, მაგრამ სინამდვილეში კი მეორე წელში დასკირდა გადაკირწყვლა.

ამ გარემობას ის ხსნის იმით, რომ ჩვენს გზებზე ურმები დადიან და არა ავტო-მანქანები, —თითქოს ეს ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ აღმოაჩინა მან და წინეთ კი არ იცოდა.

ეტლით გავსწიეთ მახლობელ ბუდობისკენ. გზაში რამდენჯერმე გადმოვცვივდით ეტლიდან, მაგრამ უვნებლად.

ფიქალის დამუშავება იმავე წესით ხდება, როგორც ჯორჯადების ყმები. ლუარსაბ თათქარიძის დროს აგროებდენ ამ ფიქალს თავიანთ ბოსლებს სახურავად!

ამბობენ, რომ მეორე შორეულ ხეობაში შემოღებულა მექანიზაციაო, მაგრამ იქ წასვლა ჩვენ ვერ მოვახერხეთ, რადგან ეტლით არ წვისვლება და ცხენები კი ვერ ვიშოვიეთ.

აქ მომუშავე ინჟენერ-ტენიკებს ხეობაში მხარი ჩივივით და თელავის მიმართულების მაგიერ ფიქალის ამო სახიდავი ვიწრო ლიანდაგი მახანკალოს მიმართულებით წაუყვანიათ. რი თაც ერთ კილომეტრით კიდევ დაუშორებათ ფიქალი რკინის გზიდან.

გეგმით დამზადებული უნდა იქნეს ამ წელში ათი ათასი ტონა, —სინამდვილეში დამზადებული იქნება იმდენი, რასაც შისძობს ერთი ყმა-წვილი თავისი სატეხით და კვეთლოთი, რომელიც ჩვენ იქ დაგვხვდა.

ჩვენს „ბენცს“, რომელიც დიდი ქმინით და ვაივაგლახით მივიდა საბუეში კანტორამის. იქ დახვდა ერთი შორეული ნაცნობი, ხუთ, — თუ ათ ტონიანი საბარგო ავტომობილა, რომელიც თქმ ამოთიბული საცოდავით მიყრდნობოდა ხეს.

ყური მოკვართ მათ მისაღებას და ლაპარაკს:

— „როგორ ამოდი, ამხანავო, ამ ჯოჯოხეთურ გზაზე?“ —გაკვირვებით შევიკითხა „ბენცი“.

— „ეხ! მეგობარო! განა არ მეტყობა, როგორ ამოვიდი? ისე დაემსხვრეს გვერდები ჩემს აქ წამომყვანს, როგორც მე მაქვს დამსხვრეული!“

ჩვენ ყური აიარიდეთ მათი მუსაიფის გაგვიკვლევას, რადგან შეგვრცხვა იმთ მაგიერ, ვისკენაც ეს სიტყვები იყვენ მიმართული.



როცა რაიმე ნაკლზე უნდათ მიუთითონ, იტყვიან: „ჩიკყანა ჩალით ხომ არ არის დახურული!“ —ო.

ვინც კარგა დაუკვირდება ფიქალის დამუშავების საქმეს კახეთში, ის მართლაც გულიანათ გაიხეორებს ამ თქმულებას.

რომ კარგათ მიდიოდეს საქმე, მაშინ ჩალით კი არა, —ამ ფიქალით იქნებოდა დახურული ქვეყანა!..

გავსწიეთ ისევ წინ ჩქარი ტემპით, — უფრო ჩქარი ტემპით მიმდინარე სამუშაოების დასათვალიერებლად!..





კულაქი: — ჰაი, დაწყევლა ქრიშტემა, ჩემს ვენახში ჯერ ისრიმაც არ არის და მაგათ კოლექტივში კი ყურძენიც დამწიფებულია და ღვინოც დაუყენებიათ.


რატომ იყინოდა კულაქი

კულაქი ღვლეპაშვილი იცინის. — ბი-ბი-ბი-იი! რატომ იცინის კულაქი? რალა დარჩენია სასიხარულო, კოლექტივ-გუჯარამ წელში გასწყვიტა, ღარიბთა შერეებაჲ კისერი მოსვლითა, წელს კოლმურწიანობებში დიდმა მოსავლამა გულის სიგანევიერე დამართა, პურის დამზადებაში სოფლის მშრომელთა ინტუზიანზმა დამბლა დასცა. — მამ რათ იცინის ღვლეპაშვილი? — რათა და იმეტომ, რომ თავის მრავალ უბედურებასთან ერთად ჯერ კიდევ ბევრს ხედავს კასაპოგოუსაც; მაგალითად ღვლეპაშვილმა იცის, რომ ჯერ კიდევ ბევრ სოფელში ჰყავს მოკავშირე და თავისი საქმის გამკეთებლები, რომლებიც მოსავლის აღებნა და პურის დამზადების საქმეს ადგრებენ. — მაგალითად, ვინა? — ვინა და ოპორტუნისტები. — ად არიანეს უცნაური ადამიანები? ჯერ კიდევ ბევრგან, აი მაგალითად, სტალინის რაიონში, გაჩაღდა მოსავლის აღება, პურის დამზადებაც დაიწყო. აქაური ოპორტუნისტები კი ამოქარებენ და სთვლიან ბუჩქებს. საწყობები არ მომზადებულა, ტარა არ არის, რაიონს ინვენტარი სჭირია, უიმისოდ მანქანები ჩერდება. აქ კი ოპორტუნისტები აუანგებენ ინვენტარს გამოუყენებლად. გომის სატრაქტორო სადგური აშკარად ხელს უშლის მოსავლის დამზადებას. ყრია ტრაქტორები სცდებიან მუშები. მოსავლი კი იღუპება მიწდგოდ. ხედავს ამას ღვლეპაშვილი და იცინის, იცის, რომ ყველა ამით ოპორტუნისტი მის საარაგებლო საქმეს აკეთებს.

— ეგ გერადერი გულის მოსაფხანია მკოვის, აგერ მარკოვენ მტკიცე დავალებას პურის ჩაბარების შესახებ და მაშინ ისტუნოს... — ხა-ხა-ხა, ხა-ა-ა; ხარხარებს კულაქი. — რატომ ხარხარებს. — რატომ და იმეტომ, რომ მტკიცე დავალებასაც ბევრგან აძერწეს თავს. მემარჯვენე ოპორტუნისტები ეგულენები ღვლეპაშვილს ისინი კალთას აფარებენ მას და აცხადებენ: — ჩვენში კულაქები არ არიან, ამხანაგებო, ობიექტური მიზეზების გამო, ისინი არც ყოფილან, ზცისში, წნორში და დირბში, ამიტომ მტკიცე დავალებაც ობიექტურ თვითმმდინარეობის ტალღებზე გადავაფრინოთ! — დიახ, დიახ, არც ლაგოდების რაიონში არიან კულაქები — ენაურება ლაგოდების საბჭო; არიან მხოლოდ ობიექტური მიზეზები. გთხოვთ იცნობდეთ ლაგოდურ ობიექტურ მიზეზებს. — ჩვენში, სომ არც არიან, არც ყოფილან და არც იქნებიან კულაქები, — ბანს აძლევენ ქვიშებით, თელეთის, ერწო-თიანეთსა და კურდღელთაურის ოპორტუნისტები. მუსიკასებით ესმის „მს ხმა ტკბილი“ ღვლეპაშვილს. — ხვი-ხვი-ხვი, ხვი-ი-ი-ი! — ქიხინებს კულაქი და სიხარულით დიზე ხელს ირტყამს. — რატომ? — იმეტომ, რომ მან თავის თვალით ნახა, რომ რუსიდან ქარელის პუნქტში მოიტანეს 18 ურემი პური. მთელ დღეს იცადა წითელმა ქარაიანმა პუნქტის კარებთან, საღამოს კი მთქარაგებით და ქეროს ქექვით გამოვიდა პუნქტის გამგე ოპორტუნ უკლონადე და დატუქსა მეურმეები. — თქვე იჯახ - კეთიანებო, სად მოგაქვთ პური? — განა არ იცით, რომ უფობიექტიურების მიზეზების გამო საწყობი მზათ არ არის? თუ მაინც და მაინც არ დაგიშლიათ დაყარეთ ეგ პური ცის ქვეშ და მომცილოდით აქედან!.. ღვლეპაშვილი კი იცინის და თან ბუტბუტებს. — კარგია, ვეტყვი ჩვენს „ბიჭებს“ და ცეცხლს წაუკიდებო! და იცინის, იცინის კულაქი კვდება სიცილით. მაგრამ ეს იყო ხანმოკლე, დროებითი. აბა უყურეთ ახლა! — ოხ, ოხ, ოხ, ვახ, ვახ; ვახ. ეს რა არის! ვაი; ვაი; ვაი; რა ცუდია ოხ-ხო, ეს რა არის! რა ცუდია ჩენი დროოო! ქვიინებს ღვლეპაშვილი. — რატომ?.. — იმეტომ, რომ გამომამუღვენეს, გაუგეს ოინები კულაქს და მის თანამესუფრებს, მოსცეს ოპორტუნისტებს, მაგარი დავალება მიაკრეს ყველა ღვლეპაშვილებს, გაშალეს მოსავლის აღება, ტენიურ კულტურების მოვლა, მომზადდა პუნქტები, დაიძრა წითელი ქარაიანები, ველარ ნახავთ რაიონს, რომელიც პურს ბოლშევიკურად არ ამზადებს! ეს ყველაფერი უკვე ატრებს კულაქ ღვლეპაშვილს და ყველა მისთანა არამზადებს. ველარ გამცინებს კულაქი ღვლეპაშვილი.

კტის გამგე ოპორტუნ უკლონადე და დატუქსა მეურმეები. — თქვე იჯახ - კეთიანებო, სად მოგაქვთ პური? — განა არ იცით, რომ უფობიექტიურების მიზეზების გამო საწყობი მზათ არ არის? თუ მაინც და მაინც არ დაგიშლიათ დაყარეთ ეგ პური ცის ქვეშ და მომცილოდით აქედან!.. ღვლეპაშვილი კი იცინის და თან ბუტბუტებს. — კარგია, ვეტყვი ჩვენს „ბიჭებს“ და ცეცხლს წაუკიდებო! და იცინის, იცინის კულაქი კვდება სიცილით. მაგრამ ეს იყო ხანმოკლე, დროებითი. აბა უყურეთ ახლა! — ოხ, ოხ, ოხ, ვახ, ვახ; ვახ. ეს რა არის! ვაი; ვაი; ვაი; რა ცუდია ოხ-ხო, ეს რა არის! რა ცუდია ჩენი დროოო! ქვიინებს ღვლეპაშვილი. — რატომ?.. — იმეტომ, რომ გამომამუღვენეს, გაუგეს ოინები კულაქს და მის თანამესუფრებს, მოსცეს ოპორტუნისტებს, მაგარი დავალება მიაკრეს ყველა ღვლეპაშვილებს, გაშალეს მოსავლის აღება, ტენიურ კულტურების მოვლა, მომზადდა პუნქტები, დაიძრა წითელი ქარაიანები, ველარ ნახავთ რაიონს, რომელიც პურს ბოლშევიკურად არ ამზადებს! ეს ყველაფერი უკვე ატრებს კულაქ ღვლეპაშვილს და ყველა მისთანა არამზადებს. ველარ გამცინებს კულაქი ღვლეპაშვილი.

თარსი



გო.ლი: — ვაიმე, ეს რა უბედურება მოგვსვლია, ხელი მოგიტეხია? — ხსსს ჩუმად. არაფერიც არ მოგიტეხია; ესლა პურის დამზადება მიდის და მითომ შევიხვიე ხელი... არსად არაფერი წა-მოგვდებს.

5

ნახ. ქიქიაშვილის.



# საღმთო წიგნები პურის შესახებ



მსგავსად დღევანდელ ოპორტუნისტებისა, თვით ღმერთებიც ოპორტუნისტულად უოიობდნენ პურის საკითხს. (ასე რომ ჩვენი ოპორტუნისტები ღვთის შთამომავალი არიან).

ღმერთის მიერ გაჩენილ ვეებერთელა ქვეყანას, რომელიც მაშინაც იმოღვანა იყო, რაოოინაც ახლა არის, პატრონობდა მხოლოდ ადამი თავისი ცოლით.

ამგვარად მთელი მიწა ადამის საკუთრებას შეადგენდა და ამოღენა ფართობს არ გაუჭირებოდა ორი ადამიანის (ადამ და ევა) შენახვა.

მაგრამ როცა ღმერთმა სამოთხიდან გამოიღენა ისინი, ადამს უთხრა:


**„ოფლითა შენითა სკამდე პურსა შენსა“**

და ვინაიდან მაშინ ადამს არ გააჩნდა თოხი და ტრაქტორი, მართლაც ძლივსა არჩენია ოცლ-შვილს.

მას შემდეგ უამრავი საუკუნეები გავიდა, მაგრამ პური მუდამ ოფლით იპოვებოდა. (ხოლო ამ უკანასკნელ დროს ჩვენში ადამიანს აღარ სჭირია პურის საშოვნელად ოფლის ღვრა: ტრაქტორი და სხვა მანქანები ასრულებენ ადამიანის მძიმე სამუშაოს).

შემდეგში ადამის შთამომავლობას ყოველდღე უხდებოდა პურისათვის ვედრება ღვთისადმი:

— ვიყია ოხერი! პური მისთვის კი არა, ჩემთვის არა მაქვს!—ამბობდა ღმერთი და გლვებს, რომელიც პირგა-



დებული ელოდებოდა ციდან გამომცხვარ ბულკებს, უგზავნიდა სეტყვასა და კოხს.

ამგვარად ადამიანს ღმერთის იმედი ჰქონდა და თვითონ ხელს არ ანძრევდა, მსგავსად დღევანდელ ოპორტუნისტებისა.

იესო ქრისტემაც განაგრობ (და უფრო ვაარდმავეა) ღმერთის ოპორტუნისტული პოლიტიკა პურის საკითხში.

**„ნეტარ იყვენ, რომელთა შიოდეს და სწყუროდეს, რამეთუ ივინი განსძღენ“.**

ე. ი. იწუხებ თავს კვებისათვის? თუ სიმშლით მოკვდები, საშაგიროთ იმ ქვეყანას, სადაც სიკვდილის შემდეგ ადამიანს სამუდამოდ უხდება ყოფნა, ნეტარ და მადარ იქნებით. მშასალამე, დაჯექი, ნურაფერს გააკეთებ და სიმშლით მოკვდი. (აი სანამდე მიდის ოპორტუნისტი).

ქრისტე ხალხში ქადაგობდა: **„ნუ ზრუნავთ ხვალისდელ დღეზე, რამეთუ ის თვითონ ზრუნავს თავის თავზე“.**

რა არის ეს თუ არა აშკარა და პირწყარადნილი ოპორტუნისტი?

მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ამ ჭკუის ხალხი ახლაც არის ჩვენში.

ისინი თვისვის ყოველ კამბანის დროს მორთავენ წუწუნს:

— რად გვინდა ამდენი პური, რომ სათვის ცართობის გადიდებას მოითხოვენ!?—და არგუმენტად მოჰყავთ ქრისტეს ოპორტუნისტული სიტყვები:

**„შენედეთ ფრინველთა ცისა! ისინი არცა სთესენ, არცა მკიან“**, მაგრამ მაინც მშვიტივრად ცხოვრობენო! (იხ. პირველი გვერდი სახარება).

რის თქმა უნდა ამით ქრისტეს, ყველასათვის ნათელია.

ოპორტუნისტი რის ოპორტუნისტიცა, თუ ყველაფერში არ იოპორტუნისტიცა.

აი, მაგალითად რას სწერენ ჩვენი გაზეთები ოპორტუნისტებზე:

**„ზოგაით კოლმეურნობებში ოპორტუნისტულ მუშაკების წყალობით ცადათ ამის დაყენებული კოლმეურნეთა სურსათ-სანოვავით მომარაგება“.**

და ნატერობს ოპორტუნისტი:



— ნეტავი ქრისტე იყოს ეხლა, ანდა მე ვიყო ქრისტე! სუთი პურით და ორი თავი ტარანით სუთი ათას კოლმეურნეს გავაძღვდი და რაც გადამჩებოდა, მათ ცოლშვილს დავურიგებდი!

კოლმეურნეები კი პურს ამზადებენ და მღერაან:

გარეწართა მითქმა-მოთქმას არ ვათხოვოთ ყური. მათ ჯინაზე კიდევ მეტი დავამზადოთ პური.

გმუჰი.



**„პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს“.**

მაგრამ როგორ უსრულებდა ღმერთი ადამიანს თხოვნას?

წინედ და... (იხ. მე-8 გვ.)

ნახ. დონის





საერთაშორისო

კომუნიზმის

სმენა იყოს და გაგონება. ლაპარაკობს ამერიკა. ლაპარაკობს თავის გასაქირზე. პური დასდგომია დღეს ამერიკას ყელზე და ლაშის დაახრჩოს.

ვის შეუძლიან ამოიღოს მის ხახაში გარეული პური და დაისწას დაღუპვისაგან.

ბევრი ეძებებს ამერიკაში სამკურნალო საშუალებას, მაგრამ ამოთ.

ბოლოს ოკენანტ იჭითაც გახედეს რაიმე ნუგეშის მოსაპოვებლად. ამოარჩინეს ყველაზე მოჩერებულნი მოციქულნი მაკ-კელვის და დიდი ინტელექტის გემით გაამგზავრეს ლონდონისაკენ

„პურის საერთაშორისო კომუნიზმის ცენტრი“

აქ რუმინეთის, უნგრეთის, სამხ-სლავიის, კანადის და სხვათა უდიდესო უწუწუში ყველაზე უპაპადლა გაისმოდა მაკ-კელვის გამჭარებულნი გოდება:

— ხალხო გიშველეთ. პური ყელზე გვადევს. აღარ ვიცით სად წავიღოთ ამდენი გასაუხადეგარი ტყირთი!

— ისევ ამერიკამ გამოსძებნოს გამოსავალი!—დაიძახა ვრდაცამ.

— შევეძვიროთ ნათესების სიგრცე და გეგმა.—უცბად წამოიძახა მაკ-კელვიმ.

ამხ. ლიუბიმოვის გარდა ყველამ „ამერიკის აღმოჩენათ“ მიიღო ეს და შესძახეს აღტაცებით:

- დიდებულთა!
- იშვიათი გამოგონებაა!
- სწორეთ მისწრებაა!

წათამამებულნი მაკ-კელვი უფრო მეტის რიხით, განაგრძობდა:

— დიდა, ბატონებო, ეს არის ერთადერთი საშუალება ამერიკა მზად არის შეამკიროს თავისი ნათესები მთელი ათი პროცენტით. აბა თქვენ რას იტყვიან ბატონებო?

ამ პროცენტით მოხიბლულმა დელეგატებმა (გარდა ლიუბიმოვისა) წააყენეს თავიანთი გეგმა ნათესების შეძკირებაზე.

ბოლოს ლიუბიმოვსაც მიღდა სიტყვის ჯგერო.


ლიუბიმოვი: — ბატონებო, „ამერიკული აღმოჩენა“ ბურჟუაზიული თვალსაზრისით შეიძლება უნებარე არის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში საკმარისი მანეც არ არის. ჩემი სწორე მათემატიკური ანგარიშით ამერიკამ უნდა შეამკიროს თავის ნათესები 30 პროცენტით (მაკ-კელვი ცახცახმა აიტანა).

მაკ-კელვი: — ბატონო ლიუბიმოვ, ეგ მე მგონი შეცდომა არის. ჩემი ანგარიში დაწყარებულია 1930 წლის სტატისტიკურ ცნობებზე.

ლიუბიმოვი: — მე გპვი არ შეგძის თქვენ სიმართლეში და მით უფრო სწორია ჩემი ანგარიშიც. გნებავთ ავიხსნათ. 1930 წელში თქვენ გყავდათ ოთხი მილიონი უმუშევარი და ამიტომ დაგჩრათ მოუნებარებელი მოსახლის 10 პროცენტი. (როგორც ეტყობა უმუშევარს პური აღარ სჭირდება ამერიკაში). ამ წლის დასაწყისში თქვენ გყავთ რვა მილიონი უმუშევარი. მაშ უკვე მეტია მოსახლის 20 პროცენტი. ამერიკის დღევანდელი მდგომარეობა იმ გზით მიიმართება, რომ წლის ბოლოს უკვე აღიარებება 12,000,000 უმუშევარი. მაშ საეხებით მეტი იქნება მოსახლის 30 პროცენტი, რის შესახებაც ეხლავე უნდა მიიღოთ ზომები.

მაკ-კელვი: — კარგი, ჩვენ, რომ 30 პროცენტი შევამკიროთ, სხვებმა რამდენით უნდა შეამკიროს?

ლიუბიმოვი: — საბჭოთა სწორ უპოვარი



— საყვირდელია, ბოლშევიკების პური როგორ არის ახეთი გემრიელი და კარგი, რომ ჩვენს პურს სჯობნის.

სტატისტიკა ამტკიცებს, რომ ევროპაში ერთი ორად იზრდება უმუშევრობა. მაშ აქაურ ქვეყნებშიც ერთიორად უნდა შეამკიარდეს ხენა-თესვა, რომ ფერებნისა და მემამულე-ბურჟუეების საზარალოდ არ დაგროვდეს ზედ მეტი მარაგი.

მაკ-კელვი: — თქვენ, საბჭოთა კავშირმა რამდენით უნდა შეამკიროს მოსახელი?

ლიუბიმოვი: — საბჭოთა კავშირში მოსახე-

ლის ზრდა ნავარაუდევია 15 პროც. (ამ ცნობაზე ყველას ელდა ეცა, მაკ-კელვის კომუნიზმით).

მაკ-კელვი:—რაათა, ბატონო ლიუბიმოვ! საბჭოთა კავშირში განა...

ლიუბიმოვი: — რათა? მიწეზი სულ უზარალოა: საბჭოთა კავშირში აღარ არის არც ერთი უმუშევარი.





— შვილო, ეს ქათო წაიღე და სანახევში გადაჰყარე!

ნაბ. ჯაჭიაშვილის.

ტეპაპურიკა.

პურმა სთქვა სახელმეგობრად მე ვარ ყველასგან ქებულში უჩემოდ კაცი არ ვარაგა, არც საქმე წამოწყებული ამიტომ მინდა რომ ვიყო ყველასგან პატივდებული. ვინც არ მაფასებს, ბრიყვა, ხეპრე და თავადებული. პატივით უნდა მომეპყრას მე ცეკავიშორის კრებული, როგორ მაკადრა მითხარით, „მეშოკი“ გაოხრებული! სანამდე უნდა მამყოფოს ნესტიან სარდაფს გდებული. მომხედოს, სანამ კარგად ვარ, ნუ არის პირდაღებული, თორემ თუ კუჭში ჩამეცერი მწარე და დაბნეული მე შემოდლია ვიმხვევრბლო, მთლიანად მთელი კრებული

თბილისის მომარაგების განყოფილებაზე

პურმა სთქვა სახელმეგობრად კარგი ვარ მე სანახიო მომხედეთ სანამ თეთრი ვარ, ხომ არ გიყვარებათ თაღბიო. მითხარით, — რატომ არ მწყალობს მომარაგების ხალხიო, თბილისის საბჭოში ხომ სხედან, რომ უყვართ მათ ტრაბახიო ნორმებს, რომ იმუშავენ, რომ შეაბრუნეს ჩარხიო, ღარიბ გლეხებს, რომ უბრძანეს: „კულაკებს გადაახტო“ საღ გაგონილა ეს წესი, არ ყოფილ, არ ნახანიო, რამდენსაც კულაკებს შეაწეროთ, მარაბსაც გადახდით. ეს ხომ ნახტომი გამოდის ნახტომი „მემარცხენეო“ პურმა სთქვა, სახელმეგობრად „ტ...ოი...“ შეაჩერეს

მომარაგების კომისარიატზე

პურმა სთქვა სახელმეგობრად ჩემსკენ გეჭიროთ თვალია ყველამ პირნათლად იხადეთ ჩემს წინ თქვენ — თქვენი ვალია ვინც ეხლა ჩემთვის არ იცლის არ არის შესაბალოა, მაგრამ კულაკს თუ მიუტღეთ ჩემი მოვლა ვალია,, ისე ვამაქრობს, ვერ ნახოთ თქვენ ჩემი გზა და ცვალია კომისარიატს, რომლისთვის ჩემი მოვლა ვალია, მომარაგება რამ უყვარს და ბევრი სხვა მარავლია ინსტრუქტორები ბევრი ჰყავს, ჩემთვის კი არ უცალია მას გადაეცეთ, არ კმაზა გეგმა ქალღმერთი, მშრალია მომარაგებას აზრი აქვს, როცა რომ მოსავალია.


სამიერ-გან-უზიხ.

წერილი შეყვარებულს (ჯუგდილი)

შენმა სიყვარულმა, ჩემო ძვირფასო ისე დამაქნო, როგორც აქაური ვაჭრები დააქნო კოოპერაციამ. მომენატრა შენი მომხიბლავი ხმის გაგონება, როგორც ზუგდიდელ რადიომსმენელებს ენატრებათ რადიოს ხმა, რომელიც შენსავით სდუმს. გამფლანგველ ტატიშვილივით დატყვევებულა ჩემი გული შენი სიყვარულის მიერ და წნანდელი შენი ნახვა დარდს ვერ მიქრობს, როგორც ტატიშვილს გულს ვერ უმხნეებს მის მიერ გაფლანგულ 1200 მანეთის მოგონება. მოდი ჩემთან, ისე გელოდები, როგორც კოოპერაციის საშაქარლამოში მოქალაქენი მოელიან ჩაისა და პურს.

გიული.

მხლა.





# „გ ა უ ბ ე ბ რ ო ბ ა“

საქართველოს  
საბჭოთაო  
საბჭოთაო



კულაქი: — კოლექტივიდან გამომაგდეს — კოლექტივზე გული არ შეგტკივალ... შეგტკივა კი არა, კოლექტი-  
ვმა გულის მანკი გამიჩინა;



(გურული სცენა)

ოი, ღმერთი ამოადგებს ბეჟუტყელს და მისი ნაგრამს... გეგინებდი ჩემო ბატონო და, ჩამოხუტულდა ქალაქიდან ბეჟუტყელს ბიჭი კოსტაიე, და იმისთანე რაღაცეები ილაპარაკა, რომ კინალამ გადამრია კაჭალი კაცი. ამდენი ქვევა ჩაი უნდა დთვისოთო, ამდენი სოიეო, ამდენი სილოსიეო, და რა ვიცი რამდენი ზაჯახი მოგვცა.

— რაია ძამიავ, მაგი სოიე-მეთქი. — რაიო და ერთ კაჭალს რომ ჩავაგდებ შიწაში, ათი კაჭალი ოქრო ამოვგაო.

ფიფიქრე — გავკეთდი ყაზახი, აწი რა უჭირს ჩემს ეპრასკიას და მის ბაღნებს მეთქი.

მეც გავუსვი უცფათაი ხელი, ვაფცქვე: და ვაფცქვე მიწაში რაც კი შექაქლო, მარა არ იკითხაეთ რა ამოვიდა?.. იაპონიეს ლობიე!

გაცსკიდი ყაზახი კაკლ გულზე. ცსიქი, რავა ავი იაპონიე არ იყო, რო: ჩემი მარჩენალი ძროხა გამოხერა მუცელზე და ფეხი გააფშვია-მეთქი! მომაწვა ისხნი თვალღებში.

წამოუსვი უცფათაი ახლად მოპირულ თოხს ხელი და ხელად მოვატანტალე ძირში იგი შენი იაპონიე, იმ ეს მავიორათ მივყარე შით სიმინდის კაჭალი, მარა თურმე ახლა ვილუბები და შექვევა ოჯახი.

გვეცხებდე და გამომიძახეს აღმასკომში.

— სოიას ნათესების განადგურების სათვის თქვენ პასუხი უნდა აგოთ! — მეუბნება თავმჯდომარე.

— გადორიე, ძამიავ? იაპონის ლობიას გულიწა სასულოთ გვეცხები თავს-მეთქი? — მივიძახე და მოვკურცხლე უკან.

მოგვდი: სახლში. წამოუსვი უცფად თოხ ზეული და იმ წამსვე ამოვყარე სიმინდი და ისთველე მივყარე შით აგი სოი, თუ რაცა. მე მეგონა ამით გადავრჩებოდი. მივედი სახლში, ჩემო მარჩენო, და წელკავიან ძაღლივით დვეგდე ლოგინზე. ვბრაქსიესკენ გადატრიალებაც კი არ შეიმძლო... ისე დავლაღულიყავი. ჩამეძინა მარა, ვაი ამისთანა ჩამძინებას. თურმე სოიე ჩამყოლია სიზმარში ჯავრით და მათოდგებს: „სოიე, სოიე“: ამ ჩემს ბოდვაში იმ კულიან ეპრასკიას გამოუღვიძია და ვეფხვივით დამაჯდა თავზე, მირტყა და მირტყა, მთელა და მთელა ხონურ შალივით. მიყვიროდა: რავა შენ ვერ დაგიტხუე იმ სონიასთან სიარულსო!

— არა ღმერთი, რაჯული, ხატი ჯვა რი; ვინ ეშმაკია მაგი არ ვიცი. ქალღო შეაფურთხე ეშმაკს და დეიძინე-

მის კაბინეტის კარებთან დლიდნენი სპეზ მოდ გრძელი „კული“ ჩნდება.

„კული“ ყველას მოწყენილი სახე აქვს, ყველა სთვალავს, ყველა დაბლა - დაკეშული და ვარინდებულია.

კარი მიიხც იღება და ისურება და ყოველი ასეთი კარის გაღება დახურვანზე ფედკა მეკრე კრთის: სესაზე თუ ზის, რეზინი ვით მაღლებდა; ხოლო ფეხზე თუ სდგას, ქარისგან გადახნიეულ ტრიფოს ყლორტივით იხრება, იგონება და ცმუკავს.

კარი დრო და დრო იღება და იხურება: იქით შედიან, ამას ყველა ხედავს, ხოლო იქიდან გამომავალი კი არავინ ხანს. აი, იღება კარი და შემოდის „სიცი“, თვითონ პასუხისმგებელი თქვენ თქვენდა უხებურად დაგიქოლოთ აზრმა:

„მეცა, ახლა კი აიხებება და გადნება ის „კული“, კარების წინ რომ ვინილეო“...

მაგრამ... შემოსვლისა და შირველი მისაღების შემდეგ „ის“ თითონ ჯდება მაგიდის იქით, ხოლო აქეთ ჩარაზმოლი ხალხის დროებით შეწყვეტილი პიი - ჰლე ისე იღებს თავის პირვანდელ სახეს და გრძელდება, ამ გაგრძელებულ მასლაითხისიცი იღებს მთელადე მონაწილეობას.

მაგრამ... უცბათ, თითქოს ინსტიქტით შეიგრძნო, რომ ფედკას კარი უნდა შემოეღო და შემოეფიქრია, რადგან, შართალია, იქ „კული“ ემატება და ემატება, მაგრამ ფედკას გულში კი მოთმინილობა ამდენადე ილევა და ირთება.

ოპ, დამიგვიანდა!.. გაწეულ მარჩახი ხენლის მაჯაზე შიმოგრებული საათის აღმავალი ისრები ერთმანეთს გაეკრნენ და ფეხები საათის ზენდის მიბჯინის, თითქოს ყირაზე გადასვლას აპირებდნენ და კარებში გაშავალ „პასუხისმგებლის“ მხოლოთ ზურგმა იელვა უქანასენდელად. ამან „კული“ და ფედკა ერთნაირად შეატარებანა, მაგრამ ვინ გაბედავდა „ისის“ შირვებას, „ვირც“ ტემპების საქმეს ასე ბატყორნილი ისარივით გადინაბი უკან?

საათის და წუთის მაჩვენებელი ისრები რომ ერთმანეთს განშორდნენ და ციფრბლატის სულ ერთი მეთორმეტედიოთ ისე დაუახლოვდნენ ერთმანეთს, „ის“ ისი მოჩნდა თავის კაბინეტში. სადაც მას იფივე კამპანია, თუ ახლა უკვე ასე თუ ისე შეზადგენლობა — და სახეშეცვლილი ზღდედა. და „სიცი“ ჩვეულებრივ ებმება საქმეში...

მაგრამ ამა, თითქოს კიდევ უნდა შირვებს კარი... არხევა და იღება კითხვა ნოლა. „გაუბედავად... კარის ლიოდში გამოჩნ-

მეთქი. გაგიგონია!.. შეაყარე კედელს ცერკვი, ანამც რა არამც არ იქნა მისი დაჯე ება. ბოლოს შკრა წრიონი და გამომავლოთ კარში.

ვიკუნსულე და ვიკუნსულე გათენებამდი ძაღლივით ვარეთ. გათენდა თუ არა, მივარდი ლარვენტრასთან, გამუართვი გზის თოოი და ხელად ფხია მოვადინე ტფილისში.

ვიბზულე, ვიბზულე და რავაც იქნა მივაგენი ვინცა იგი სოიეს გამოგონებელი ყოფილა იმან მომიყვა, დამიწყო მარა რა დამი“

— სოიედან კეთობა: რძეი, ყველი, კარაქი, ზეთი, კამფეტები, კატლეტები და, რა არ მოსთვალა!

დედავ, დეკოო!.. გავიარე და

ნდება ვისილაც ვერა ამის კულულები... ფედკას კიჩორი თანა...

თავრამ „ის“ უკვე ფეხზეა. ხელში — პორტფელი, მეორეში — კეპკა...

— ამანაგებო! უკაცრავად „ბოდინს ვიხდი“, მიგვიადდება... თუ ვისმე რაიმე საქმე აქვს ჩემთან, შემდეგ...

უქანასენილი სიტყვა უძვე ღია კარების ნაბრალიდან ისმის. იქ „კული“ და ფედკა ისევე ტარტრამანობს ალბათ. მიხნედილი თვალები ოდნავ გამოკოცხლდებან!

მაგრამ... კაბეზე ჩამავალი ფენების ხმა ჰაერს სეკრავს, რაც „კული“ გლოვს ზარად ევლევა თავს და ეს თავიც ისევე, ოქინდრება დაბლა, ისევე იძირება სიღამბლოსა, სიგამბნდრისა და უმიწედო ლოდინის უბსკრულში...

მაგრამ უბსკრული არც იძინდალ უბსკეროა. მართალია, ის უღმობელია, მაგრამ საათის ისარიც მისი კიდევ მეტად უღობილო მწვერავი და მსკრაიოა. და გადინება კედელს საათის ისარი საათის მარვედელი წუთისას პირვანდელის დონესზე კიდევ გადაშორდა, როცა „ის“ ისე გამოჩნდა კაბინეტში... პორტფელითა და კეპკით ხელში... პლაშტიკი: მაგრამ ახლა უკვე სიცი უწყვეთა, ალბათ ხომ პლაშტიკ „ისს“ მკლავზე აქვს გადაადებული... — დღეს ძალიან დაღლილი ვარ... თან ერთ ადვილს კიდევ ვარ შესაღელი... ვისაც ჩემთან საქმე აქვს, უკვე ხვალისთვის ახანავებო!..

უქანასთება შეუძლებელია... ზურგმა უქანასენილად გაიელვა ღია კარებში... იქ, ალბათ, „კული“ და ფედკა ჩვეულებრივად ისე შეიბრან... შირვა და გაიძინა: გაირჩინა: გაქვედა: გაშეშდა:...

დღესაც ისე, როგორც გუშინ!.. თუ?!

მაგრამ ფედკა სობს ამ იმედსაც, „თუ“ — საიან რომ გამომდინარეობს: მან საჯდომი ძაბრა სკამი უკვე გადააბურხა და კუთხეში მივადებულ ფენებ - მორყეულ მაგიდაზე შესდო.

ცხადია, დაწესებულებას დაგვა უნდა. ფედკა კაბინეტშიც შევიდა, კარი მიიხურა. იქ ხომ ჯერ კიდევ არიან?

და ფედკაც, ალბათ, მორიდებულ პოზაში ღვას ახლა იქ მყოფთა წინაშე: სკამებს უნდა მაგიდაზე შელაგება. ხოლო ამას უნ — ჯერ კაბინეტის განთავსუფლება ყველა აქ მყოფთაგან, გარდა ფედკასი, ხოლო შემდეგ — დაგვაც წვირისაგან ამა დღისური შრომისა!..

პასიჩრა.

შევექანჯაოთი კაჭალი კაცი, ვთქვი, რავა, აი გლახა იაპონიე თუ ამფერი კაი იყო, სად ვიყავით ამდენხანს? დელილოცა მაგის ძირი, კოსტაიე შართალი ყოფილა, მართლაც ოქრო ყოფილა-მეთქი. გამოვტრიალდი უცბად და ხელად მოვცოცხე სახლისკენ.


ჩამოვიდი სახლში თუ არა, მოუყევი და დაუკაკლე ყველაფერი ჩემს ეპრასკიას და რავაც იქნა დავაჯეივ და კიდევაც გადავპროშტეთ ერთმანეთი. მარა აი ჩემი მობრევა ქე შერჩა მი კოდიასს ტაშიმალსავით.

ახლა ძამიავ, ქე ვართ ჩამჯდარი მე და ჩემი ეპრასკიე იაპონიაში და შევილივით უვლით.

ს. მელი.



თბილისის  
კომუნისტური



კულაკი: — ისევეც გაგინავდათ თქვენი კოლექტივის მოხაფალი, როგორც მე გამინიავეთ ყოველივე იმედები!

# დეკრეტები

## უმაღლესი რეკორდი

**ოზიბა** (ბაღდადის რაიონი). მასწავლებელმა **ფორფოლიანმა** და **გუნმაბერიძემ** ღვინის სმასა და აყალ-მაყალში დაამყარეს უმაღლესი რეკორდი. ამ მიმართულებით მათი მუშაობა მოწაფეობაშია ცნაყოფს იღებს.

ბუხ.

## დაწინაურება

**ტოხანიშვილი**. კოლპერტივიდან სხვადასხვა ბოროტმოქმედებისათვის მოხსნილი **შ. ჯოჯოხიძე** დღეს დიდის ზეიმით მიიღეს საბჭოთა მამულში. მიღების შემდეგ გაიმართა სამალარი-ხო სადილ-ვანშამ-საუზმე.

ჩანჩურა.

## გამორიგება

**ცაგმარი**. კოპერციულ სასადილოს ბუფეტის გამგე **ბესომ** გამოიგონა ახალი შეჭამანი „ნაჭაპური“, რომელიც მზადდება პურის ცომისა და დამბალ ყველისაგან. შეჭამანი წმალადაც გამოდგა — კოჭის საწმენდათ.

კ-ი.

## ხუთდღიან კვირაზე გადასვლა

**ლაგოდეხი**. ადგილობრივი ყველა სამკითხველოები გადავიდნენ 5 დღიან დასვენების კვირაზე, ვინაიდან, **ჟურნალ** - გაზეთებს მინც ვერ ტეხულობენ, რადგან ერთ დღეს სოფლის ფოსტა ისვენებს, მეორე დღეს — ფოსტის დამტარებელი, მესამე დღეს — წნორის-წყალის ფოსტა, მეოთხე დღეს — სოფლის სკოლის სამკითხველოების გამგეები და მეხუთე დღეს — სამკითხველოები. **ბოკ.**

## ახალი კურსები

**ლაგოდეხი**. რაიკოლმეურნეობის კავშირის თავმჯდომარემ და გლეხის სახლის გამგემ გახსნეს **დომინო**. სათამაშო კურსები. ნაცვლად კოლმეურნეობის მოანგარიშეთა კურსებისა. შეცადინებთა სწარმოებს დილიდან საღამომდე.

უჩა.

## ნათლიები

**ზიათურა**. სამთო - სამრეწველო სკოლიდან გამორიცხული კულაკის შვილები **გაჩეილიძე** და **გაბუაძე** პროტექტორების დახმარებით ისევ ალაღვინეს. მათი მამები საშუალო გლეხებათ მონათლეს. ნათლიებათ იყვნენ ჩხარის სასოფლო საბჭოს მდივანი და შავი ქვის ტრესტის მმართველი.

ორნი.



# ნიანგის მასჟირება

## ჩოხატაურში

„ტრანკავშირის“ კანტორას მივადექით.

— თუ სანდროს თავის ნათესავი არ მიუგზავნეთ, ავტოს ბილეთს არ მოგყიდის! — მითხრა ამხ. კოხმა.


— რას მიქვია პროტექცია! — დავაპირე ვაბრაანება, მაგრამ როცა კანტორიდან სანდროს ყვირილი და გინება მომესმა, დავმშვიდდი.

— რა იცის ამ კაცმა აი, ა! ყოველთვის ზედმეტი უნდა აიღოს ბილეთში! — ჩაილაპარაკა ერთმა გლეხმა.

შევიძინეთ ბილეთი და ის იყო ავტოში მოიბოდი, რომ ერთთან ჩადაც ჩოჩქოლი შეიქნა.

მივედით და ვნახეთ.

ეტლიდან გადმოვარდნილიყო ერთი ფუთი ვადაშალული შაქარი და დაპნეულიყო, იქვე იდგა და მწარედ მოსთქვამდა ადგილობრივ „ებო“-ს ნოჩარ სეფე იონცაძის ცოლი.



მომეშველეთ, დემეანა სამურაბე შაქარი.

რაც სოფლებს დააკლდა, ხომ ხედავთ, რომ აქ არი!

თანაგრძნობა გამოვუცხადეთ ამ სა მწუხარო შემთხვევის გამო სეფეს ცოლს ე. ი. შაქრის ქირისუფალს და ჩვენს გზას გაუღექით.

## ზუგდიდი

სრულიად შემთხვევით წავაწყდი შემდეგ ამბავს:

კომკავშირის საკოლმეურნეო უჯრედთა მდივანი ვასო სცემდა თაღუმაძეს.

— რას ურჩის, რომ ასე უმოწყალოთ სცემს? — შევევითხე ჩვენს თანამშრომელს გიულის.

მაგრამ გულის პასუხის გაცემამდე ვავიგონე.


— ვასო რისთვის მცემ? — ეკითხებოდა თაღუმაძე.

— რისთვის გცემ, და იმისთვის, რომ შენ ცოლათ არ შეირთე ჩემი მეზობლის ქალიშვილი! — დაუსახელა ცემის „საპატიო მიზეზი“ და უპატივცემას.

## ცხემლის-ხიდი

ოზურგეთიდან ვაკის-ჯვრის ეტლს ვაყვევით. როცა ეტლი ცხემლის-ხილზე აღმასკომისა და კოლექტივის საწყობს მიუჯლოვდა, ცხენებე დაღვინენ და ატირდენ.

— რა გატირებთ?



— როგორ რა გვატირებს, დაიჭირეს კოლექტივის და აღმასკომის თავ მჯდომარე.

— მერე თქვენ რა?

— როგორ თუ რა! ხომ ხედავთ, როგორ ვაგზდით რაც ისინი დაიჭირეს. ისინი გვაწვდიდენ სოფელში მოგროვილ სათესლე სიმინდს!

მეეტლე ქვიშარდიამ მთარახი შემოპკრა ცხენებს და შეუტია:

— თქვენ კიდევ საყვედურობთ! თქვენი გულისთვის სასამართლოში ტყუილი ვილაპარაკე და მეც კიანდამ მათიკვიეს თავი ვირის აბანოში! გამზდარი ცხენები ძლივსა დაიჭვინენ ადგილიდან.

## ხილისთავი

კოლაპერატივის გამგეობაში ასეთ ლაპარაკს მოგვარით ყურით:

— რატომ სისრულეში არ მოგყავთ ადგილობრივ ხელისუფლების დადგენილება საწყობის გამგის სეფ. კალანდაძის მოხსნის შესახებ? ავი ეს კაცი თვით მომარაგებას უწეოდა, ნაცნობებს ამარაგებდა და გლეხებს კი ეუბნებოდა: — მე რას მერჩით, თქვენს მთავრობას არა აქვს არაფერი და ჩემი რა ბრალია! — ამბობდა ვილაც მოსული.

— ჩვენ არ შეგვიძლია მისი მოხსნა,

— თავისას იცავდა „ებო“-ს გამგეობა, — რადგან გარანტია არა გვაქს, რომ ახალი გამგე მღრ ზარალს არ მოგვიტანს. ეს კაცი უკვე საქმაოდ თვითმომარაგებულია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გამოიჩინეს სინდისს და შესწყვეტს, ან შეამცირობს თვითმომარაგებას.

## სამტრედია

26 ივლისს სამტრედიაში ვიყავით: ღამე იყო.

როცა არ ჩიო „დგომი“-ს კანტორას მიუხლოვდით, სიმღერა მოგვესმა.

— ნახეთ თუ ეხლაც ვ. შენგელია, ს. ლომთაძე და ი. ბექია არ ქეიფობენ კანტორაში! — ვითხრა დგომის მუშამ. მართლაც შევხებდეთ და დავინახეთ, რომ ესენი იყვნენ.

— გ. უმარჯოს ჩვენს სამებას. ვისაც ჩვენ არ მოვწონვართ, ის არ ჩვენც მოგვწონს და ფეხს აუღდათ აქედან.

— ვასო, მატერია რომ გამოიტყვე 6 მან. 50 კაპ. როგორ ვაყიდე?

— 25 მანეთი ვაყვიდე ზაზარზე.

— გაზეთების ფული რამდენი შექამე?

— თქვენი მონაწილით იყავით. არ იცით რამდენი შეეჭამეთ?

— კი არ შეიჭამით; „დაგვეკარგა“ ავი ასე ვსთქვით და მუშებს ხელმეორედ გადავახდევინეთ.

— ვაუმარჯს ჩვენს პ. კუჭხიძეს რომელიც მოხსნეს და რომლის აღსადგენად მუშებში ყალბი ხელის მოწერა ვაწარმოეთ, მაგრამ მაინც არაფერი გამოგვივიოთ.



— ვაუმარჯოს, ვაუმარჯოს! — და გადაპკრეს ჭიქები. მეორე დღეს ეს წმინდა სამება 12 საათამდე არ მოსული „დგომში“ სამუშაოთ. საჩივრები კი ბევრი გაისმოდა მცხოვრებლებში:

— წუხელის გკცემეს ვ. შენგელია, ს. ლომთაძემ, და ი. ბექიამ.

— ჩვენ ვავანეს და შეურაცხოვა მოგვაყენეს. — ამბობდნენ ქალები.

— აბა გაბელოს ვინმემ ჩვენზე ცუდის თქმა. დიდას ვუტირებ ყველას — ამბო 5 მძაბიჭობი.

## კონკურსების

შედეგი

გამოხსნადიგული

- იმეება -

შემდეგ ნომ რში




# უ ა ვ ი ღ ა უ ა




## არ უმიძინეს ბაჭარი და წახდა ნამოღვაწარი

ზირაქის გასწვრივ დაბლობზე  
ხალცი, რომ ქვემო-ქედია  
სამკელ და სალექ მანქანებს  
ცუდი სწვევით ბეღია,  
ვინც ჯერ არს ისე „გარჯილა“,  
რომ დროზე შეუძენია  
ფოცხი, ნიჩაბი, ღვეღია  
მარამ „პატარა საქმისთვის“



მას წინ არ დაუხდია.  
ეს „პატარაა“ ძნელისა  
შესაკონავი ბაჭარი  
მხოლოდ ახლა და გაოგეს  
თურმე ეს არი რაც არი  
ამ უბაწრობით წაუხდათ  
მათ მთელი ნამოღვაწარი

ინდუაზილი გიჟია,  
აქვს „დამზადების“ ნიჟია  
მიხეილ ინდუაზილი  
ბიჭია ლაშათიანი,—  
წელზე „ლივერი“ ჰკიღია  
ტარს ოქრო ვარაუიანი,  
ურბინისის ბედელს განაგებს



გამოკიბულა დახლშია,  
გლუხი რომ ხორბალს აბარებს  
ის ეზიდება სახლშია,  
რუისის პუნქტი გადქცა  
მიშასათვის ოქროს კუნძულად,—  
ხიზანიშვილის სიმინდიც  
შინისკენ გააძუნძულა.

## დამინედეთ პარტიულსა, ქმრძო ჩარჩხე ჰქიღის პურსა

ჭაბუკიანელ ჭაბუკსა  
ბოჭორიშვილათ ხმობილსა  
ამ მუავე ოპორტუნისტს  
და კულაკების ძმობილსა  
ნაინგი გაცნობთ ფეშქაშათ,—  
(ხურდაში გამოგადგებათ),—



თუ სადმე ნახა კულაკი  
იმათ ვეკილად დადგება.  
თვითაც მათ ბაძავს, იმათი  
სრიკები მოიხმარაო,  
ერთი ურემი ხორბალი  
მან ღამით გააბარაო  
გაყიდა კერძო ბაჭარზე  
ბლომად იშოვა ფარაო,—  
მოდო და ახეთ კაცს ჰკითხვს:  
-- კულაკებს რატომ ფარავო?

რომ ზირისუფლოვს კულაკებს,  
ტკინს მათი დარდი ულაყებს  
ნიჭლოზ მაისურაძე  
არტელის ხელმძღვანელია  
მარჯვნივ წახრა და გადანრა  
მისთვის არც ისე ძნელია,




როცა მას გეგმა გაცნეს  
მოსავლის დამზადებისა,—  
ნიკომ სთქვა:—„ვერ დავამზადებ,  
ღმერთი ნუ გამოწყურებისა,  
საწყალ კულაკებს რას ერჩით?  
შეხედეთ ერთი წუთითო,  
თვითეულ მათგანს მოსვლია  
რალაც ათასი ფუთითო,  
შით დამზადება მოვთხოვო!  
რა ენა მომობრუნდება  
ობიექტიურ მიზეზებს  
ხელზე დავიდებ ხუნდებათ“.

## პურს აგზადებენ მგონათ, მიზვი რომ მოუგონათ

თქმულია ცხრა ძიძას ხელში  
ბავშვი მშვიერი მოკვდაო,—  
თელაშვიცი ერთი აზბავი  
სწორედ ამგვარად მოხდაო,—  
კომერაციის პუნქტებმა  
ერთურთში შექმნეს ცილება  
და პურის დამზადებაში  
ამით ჰქნეს აწეწილობა  
— შენ დაამზადე, არა შენ,  
ეს დავა დღესაც რთულდება,—  
დამზადებისა გეგმა კი  
კვლავ დანაკლისით სრულდება.

## ჰმავს კომკავშირსაც ბავრია თურგე უღირსი წვირია

ხვედურელ კომკავშირელებს  
რათ არ გაუჩხრეკ ძვალსაო,—  
როცა კულაკის წისქვილზე  
შეგნებით ასხამენ წყალსაო?—  
საბჭოს ჩაუდგენ ჯიბრშია,



ეს შეჯიბრება ჰგონია  
და პურის დამზადებაში  
უდევრტირებს მგონია  
ვინც იმათ ქვევას გაცნო  
სუყველამ ერთხმად სთქვესაო  
თუ არ ოპორტუნისტობენ  
რა ჯანდაბაა ესაო?

## 4.ოცა თავი ზინაღება, მაზინ საჰმეც გვიანღება

სატრაქტორო სადგურია  
გოჭშია თუ აბარაში,  
მაგრამ მისი მუშაობა  
ბომეწონოს აბა რაში?  
როცა ირგვლივ მოსავალი  
იშება და ითონება,—  
ეს სადგური „კამეჩივით  
ლაფში წევს და იცონება“  
აქ სცდებიან მანქანებო,  
იქ კი საქმე გვიანდება,  
ახე მოსდის ვისაც თავი  
ადრე დაუზინდება.

„ნიანგი“-ს  
შემდეგი №-რი გამოვა  
20 აპრილს



# პური ს მ ა მ ნ ე ბ ლ ე ბ ი



სადა ბატონო კულაკი

(სტენა ანავის საბჭოში)

ბრიგადელი. რატომ არ შეგისრულებიათ პურის დამზადების გეგმა?



რატომ არ დაეცვანით ის კულაკურ მეურნეობებამდე?

თავმჯდომარე. სადაა, ბატონო, კულაკური მეურნეობა... სადაა ბატონო კულაკი!

ბრიგადელი. (გულმოსული) კარგი, ვნახოთ... მე რომ აღმოვაჩინო არა ერთი და ორი კულაკი, მაშინ ვანიშნებ ბრალი.

თავმჯდომარე (შეშინებული ხმით) აი, აგერ რომ არის, ამაზე თუ კაცო ხარ ტყვილა არაფერი ცუდი გაივლო გუნჯაში. მართალია შავსივლია, მაგრამ ისეთი უწყინარი და თვისნიერი კულაკია, რომ მაგის დაბეგვრა საცოდავობა იქნებოდა.

ბრიგადელი. მაგისთანა ბევრი გყავს?

თავმჯდომარე (იბნევა). მაგისთანები არიან, მაგრამ ყოველად უწყინარი და ღვთისნიერი ხალხია. მართალია, პური ბევრი აქვთ, მაგრამ მართო პური რას უშველით, პურს, მართალია, კერძით ჰჭიდებენ, მაგრამ სამაგიეროდ ღებფიცითურ საქონელს ყიდულობენ და შემოაქვთ ჩვენს სოფელში. ჩემის აზრით, მათ ხელიც უნდა შეუწყოთ.

ბრიგადელი. ოოო! ყოჩაღ! ყოჩაღ! შემოიარეთ ხვალ რაიკოში, თქვენ უსათუოდ „ჯილდო“ გეკუთვნიან ასეთი ხაზის გატარებისათვის.


## ბოშის ალსაკება

მე ვარ ტომარა, როსულად „მეშოკი“. მართალია, მე აღარ ვგვივარ არც ქართულ ტომარას, არც რუსულ „მეშოკს“, მაგრამ მე მაინც იძულებული გამხადეს ყო ტომარაც და „მეშოკიც“, შევასრულო საპასუხისმგებლო ტარის როლი, ავიგხო მარცვლეულით, მოვიკრა თავი და გატენილი ჩამოვიდე თბილისში.

მე წავალ, არ გავეცევი დავალბას, როგორც ამას როგორთი მუშაკები ჩადიან, არ გავხდები პურის ფრონტის დეზერტირი, მაგრამ რა აზრი აქვს ამას. ამას არა აქვს აზრი ისევე, როგორც არა აქვს აზრი იმას, ვინც მე ეს დამაიკსრა.

რა უთხრა ცეკავშირს! განა მას არ შეეძლო არ ჩაეგდე ასეთ დღეში. მაგონია, ღმერთმანი, ვიწვი სირცხვილით. რას იტყვიან ადგილობრივი მუშაკები, როცა მე დამინახავენ. განა არ იტყვიან — სამასხროდ ავიგდო ცეკავშირმაო. იტყვიან და გამოიანთლებინ. მაგრამ რა გქნა.

მე წავალ სთოლად, მე უკან არ დავიხვე ბრძოლაში, მაგრამ!.. მაგრამ




რა სათი აქვს. ერთი მარცვლი ხორბალი არ შეაჩრება და ჩათოვალ თბილისში ისევე ცარიელი, როგორც იმი გოგრა, ვინც მე მაგზავნის.

## ბაღიაურში არ სცალიათ

ამბობენ: ბაღიაურში (გურჯაანის რაიონი) პარტკომკავშირ, საბჭ. და პროფმუშაკები ისეთი რაღაც საშინელი სიძიმით არიან დატვირთული, რომ პირდაპირ რამდენიმე ათასი მძალა საჭირო მათ განსატვირთავად.

ჯუკო-ჯუკოებით გამოურკვეველია, თუ რა არის ის უზარმაზარი ტვირთი, რომელიც ბაღიაურელებს ჰჭიდიათ და თავისუფალი გაქაჩების საშუალებას არ აძლევს. ხოლო რომ ჰჭიდიათ ამაში ეჭვი არავინ არ უნდა შეიტანოს, რადგან დღეს, როცა ყველგან პურის დამზადების კამპანიისათვის ყველა ცოცხალი და მკვდარი საშუალებები დარაზმული და შეწყვიტულია, როცა მთელს საქართველოში ვანგამია, როცა გლეხი - გლეხს, კომლი - კომლს, სოფელი - სოფელს, თემი - თემს ეჯიბრება პურის მეტი რაოდენობით დამზადებაში, ბაღიაურში პურის ჩასაბარებელ პუნქტს უზარმაზარი ზოქლომი ჰჭიდია.

ბევრი იმ აზრისაა, რომ ბაღიაურელ მუშაკებს არავითარი ტვირთი არ ჰჭიდიათ, ხოლო საქმე იმაშია,



რომ პურის დამზადების კამპანია მათ ფეხებზე ჰჭიდიათ.

თუ ეს ასეა, ნიანგს აქვს სათანადო უფლება და შესაძლებლობა განტვირთოს ბაღიაური ისეთ მუშაკებისაგან, ვინც პურის დამზადების კამპანიას ხელმძღვრავს ჰჭიდია.

## მიმაგზავს და უმადვ მობ, ლეჯილი

სტალინისის რაიონზე პურის დამზადების კამპანიისთან დაკავშირებით ცენტრიდან მიმაგზავნილი იყო სპეციალური ინსტრუქტორი ყანჩაველი. ცენტრში ყველა დარწმუნებული იყო, ყანჩაველი საიმეო იყო მიმაგზავნილი რაიონზე. ასე რომ მისი მოგლეჯა არ მიაჩნდათ მოსალოდნელად.

მაგრამ რაიონში თუ არა პურის დამზადების კამპანია, პირველ დღიდან მოყოლილად მიმაგზავნილი ყანჩაველი მოსძვრა რაიონს და სადღაც შორს მოადინა ტყავ ნი.

გადიოდა დღეები. პურის დამზადება მიმდინარეობდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, თვითმიმდინარეობით. ამუნდსენივით დაეძებდნენ მიმაგრებულს და შემდეგ მოგლოავილს, მაგრამ ამოდ, არც ცენტრში, არც პერიფერიაში არ მოსჩანდა. ყანჩაველის ნიშან-წყალი.

ათი დღის ძებნის შემდეგ, მიაგნის კვალს როგორც იქნა. ყანჩაველი გადასხიდაფერებოი იყო, ძლიერ იტენს სპეციალური ექსპერტების შემწეობით.

ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ ნაპოვნი უსათუოდ ინსტრუქტორი ყანჩაველია, ხოლო მისი სახის ცვლილება აიხსნება შემდეგი გარემოებით: რაიონიდან მოგლეჯისას ყანჩაველს თავი ვერ შეუტავებია და ჩაფარდნილა ღვინის მორევში, ღვინო ბლომად ჩასვლია მუცელში და ამის გამო მას საცნაური დაჰკარგვიათ.

ყიჩა.

14





**ბამბა ბამბაკის-ძე პამბუხოვისს.**

თქვენო უსასტიკესობებაც გთხოვთ უმორჩილესად მოისმინოთ ჩიმი მცირე საჩივარი. მე უცხო ქვეყნიდან ჩამოსული სტუმარი ვარ, ჩემი სამშობლო აქედან ძლიერ შორს არის. დიდ ხანს ვეძებდი ბინას, ბევრ მაკლერს მივმართე, მაგრამ შესაფერი სადგომი მაინც ვერ ამომიძიინეს. ვენაცხავე ისევე ჩვენს მისაზრდობებელ პურის ყაენებს. მათ დამითმეს თავის ფართობიდან მცირე ადგილი და გავშალე საზაფხულო ჩემი თეთრი კარვები ისე ლამაზად, რომ იხილოთ განვიკითრებაში მოხვალთ.

მე მეგონა, თუ ამითი ყველას ვასიამოვნებდი, მაგრამ გამიჩინდნ მტრები და არაფრით არ მზოგავენ, თავზე მაყრიან სარეველა ბალახებს, რომლებიც მისპობინ მე არსებობის

სამუალებას. მოვლა მეჭიროება და ნაკობ ყურადღებას მაქცევენ. ოპორტუნისტს, რწყილს, კოლაკს, კალიას და ბოლინჯოს ერთმანეთთან შეუკრავთ მტკიცე კავშირი და განგურებას მიპირებენ. რა დავაშავე, რა შეგცოდეთ. თქვენ კარგად იცით თქვენო უსასტიკესობებაც, რომ შემოდგომისზე ჩემი პატარა ორგანიზმი მრავალ ნაწილად უნდა დაიყოს და მიეწოდოს საზრდო პირიალბულ მანქანებს, საიდან უნდა გამოვიდეს ხატუკეთესო ძაფები, თეთრი ქულა საბნებისათვის და სადოსტაქროდ, ჩხაცმელი ტანისამოსი, რომელიც უნდა მოხმარდეს ყველას, ყველას, როგორ პატიოსანს, ისე აგრეთვე ოპორტუნისტს, ბურჟუას, ოპოზიციონერს, ჯიბვირს, ავაზაკს, ბრუციანს, კზიანს, ქაჩალს და ყველა ჯურის მახინჯებს.

ო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა. ის კურკებიდან, რომლებიც დარჩებიან ჩემი რთული ოპერაციების შემდეგ, უნდა გამოიხადოს ქარვასავით შუთი, როგორც საკმიოად, ისე აგრეთვე წამლადაც.

ჰო, კიდევ მართლა მავიწყდებოდა (ოპორტუნისტებში თავსაც კი დაკარგავ) კურკების ნაწინებებიდან კი შემზადდება კოპტონი, რომელიც უნდა მოხმარდეს ზამთრის საკვებ მასალად მსხველფხება საქონელს.

თქვენო უსასტიკესობებაც, მიიღოთ რა ყოველივე ზემოხსენებული მხედველობაში, ჩამოისიერნეთ თქვენი ბასრი კბილებით საავარაკათ ჩემს თეთო კარვებში და სადილად, მოგართმევთ ყველა ჯურის მავნებლებს და ოპორტუნისტს.

გელით მოწიწებით.  
ბამბა ბამბაკის-ძე პამბუხოვი.  
მუხე.

**მ მ დ მ რ ი**

**ინანეთელს** — გვწერთ, რომ თუ ოდნავ შესაძლებლობა გაქვთ, დაგვიბუქდეთ ეს წერილი. თქვენი წერილი, რომ ოდნავ ამართლებდეს მასზედ დახარჯულ შრომას, ავასრულებდით თქვენს სურვილს.

**მუშაბს (ლანჩუთი)** — გვწერთ ადგილობრივ წითელ სასადილოს გამგის გამოცდებზე, რომ მან შემდეგი ნიშნები მიიღოს:

- ყვირილში . . . **ღამ.** (აკმაყოფილებელი).
- პროტექციაში . . . **შრ.** (იაღ).
- დამუქრებაში . . . **ბ.** (არგი).
- გინებაში . . . **შრ.** (იაღ).
- ზრდილობაში . . . **ც.** (უდი).

ეს ერთი ცუდი ამდენ „კარგებში“ არაფერია. გამწმენდ კომისიას შეუძლიან კარგი ატენტატი მისცეს.

**ლაშქის (სუფხა)** დიომიდეს შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ცნობა დაბეჭდილი, ხოლო თუ დაუმატებთ, რომ მეზობლის ცოლს:

- დიომიდემ დაუფიცა ძირს მიწა და მალლა ღმერთი და გირათ ჩააბარა ნავანი და პარტიმლოთი. და აგრეთვე დაუმატებთ იმასაც, რომ:

ეს ფაქტია თვალნახული, და არც იგი არის ქორი, რომ გაფლანგა ნივთიაში სინდი და ორი ფლორი, — ყველა მიხედება, რომ ეს დიომიდე დღონრია და არა სხვა დიომიდი.

**მიშას (გრემისხევი)** — კორპერატივის შესახებ გვწერთ, რომ:

**ნეტა როგორ არსებობს ჩვენი კოორპერატივი, როცა თანამშრომლები მუშაობენ ბატივით.**

ჩვენთვის გაუგებარია: თქვენ ამ სიტყვებითა და შედარებით ბატებს შეურაცხავთ, თუ—ნოქრებს.

**მუტომალს (ზესტ. რაიონი)** — როგორც ამბავი ასეთი ლექსიც. რა თქა უნდა ახალიაზრდე. უნდა სკოლირდეთ, რომ ცხვი ქართოფილი პეას დასწავლდა მათ. მაგრამ თქვენც უნდა იცოდეთ რომ ასეთი წულის გამოგზავნისათვის ნიანგმა კოლის აწეა იცის.

**მეაზურას (აფენი, ლავოდების რაიონი)** — თქვენ გიწერთ, რომ **ლობჟანიძე და სირაძე** პურის დამზადების წინააღმდეგ ილაშქრებენ და ამიტომ:

**ლუ დროზე არ აუწიეთ ამ ვაჟბატონებს ყურია, მაშინ აქ გიგმის თანახმად არ დამზადდება პურია.** ჩვენ გიგონია—სურის აწევაზე მეტის ობობა არიან ისინი.

**ფიგოჩიმილი (შემოქ. ღი, ოპორტუნისტის რაიონი)** — უკონტრაქტოთ ვათაისობთ ამონაწესს თქვენს ლექსიდან. რომელიც თქვენსაბქოს თანამდრომარეს შეიხება: **გლიხიბს ეტყვის სიბიას ცუდსა კილაკობს ღი უხადის ქოლისა**

**ჩემი ნარკვევი**

თვითმყოფელობას რომ უკანონო კანონი ჰქონდა, ეს ყველამ იცის.

როგორც ვიცით, მაშინდელ ხანაში შოთაძეები აზნაურები იყვნენ ხოლო ხაჭაპურიძეები კი გლეხები მოდი ახლა და ნუ მოგივა გული. აბა რომელი ბრიყვი იტყვის, რომ ხაჭაპურს მთლიან აგობენ შოთაძეები, როცა ხაჭაპურიძეებზე მიღლა მოჰქონდათ თავი.

მემძარიაშვილები აზნაურები იყვნენ, ხოლო ღვინიაშვილები გლეხება დამერწმუნებით ღვინო ძმას სჯობია. მიუხედავად ამისა პატავი მემძარიაშვილებს ჰქონდათ და არა ღვინიაშვილებს.

დაღიანები თავადები იყვნენ, ხოლო სირბილაძეები გლეხები. ჩემის აზრით დაღიანებს თავადობა იმიტომ მისცეს, რომ ისინი დადიოდნენ. კეთილი და პატიოსანი. ტყლიპი ჰქონდათ ჩაქცეული მოვალეობის ასრულებისთვის სირბილით. ამიტომ ჩერჩეტი ყოფილა ის, ვინ დაღიანები სირბილაძეებზე წინ დააყენა.

ფურცელაძეები, ისე როგორც სხვები, აზნაურობდნენ, ხოლო ბალი ავილები გლეხები იყვნენ. ფურცელაძე წარმოსდგება ფურცელაძისაგან, ბალიაშვილი კი — ბალისაგან. ვისაც გაუხინჯავს ბალის და აგრეთვე ფურცლის გემო, დამერწმუნება ბალის უპერატესობაში.

კირ. საფიხნელი.



# სოციალისტური მოსავლის სიმძიმე სრულს

ჩვენს კლასობრივ მტრებსა და მათ აგენტებს—ოპორტუნისტებს

ნახ. ნადარეიშვილის

ს.ს.ს. 35  
მ.გ.ს. 1931  
ნ.პ.ს. 1931  
ნ.პ.ს. 312

